სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი

თბილისი 0105, შოთა რუსთაველის გამზირი # 3, ტელ.: 2998022, ფაქსი: 2982129, ელ.ფოსტა: info@museum.ge / www.museum.ge

N06/670
31 / მაისი / 2023 წ.

შპს " ამერიტექი"

თქვენი ა.წ. 17 მაისის წერილთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.13.03.016.026), სადაც ითხოვთ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას, მოქცეულია თრელიგორების არქეოლოგიურ უბანში და მდებარეობს თრელის სამაროვნის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ადრერკინის ხანის სამარხებია გამოვლენილი. მათ შორის არის ჩვ. წ-მდე VIII-VII საუკუნეების ის ორი „სამეფო სამარხი“, რომლებიც აღმოჩნდა 1970 წელს #16 თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლის გათხრის დროს. მიწის ნაკვეთი ამ სამარხებიდან დასავლეთით, დაახლოებით 15 მ-ის მანძილზე მდებარეობს. ტერიტორიას სამხრეთიდან უშუალოდ ემიჯნება ის მიწის ნაკვეთი, სადაც 2008 წელს გათხრილ და შესწავლილ იქნა ჩვ. წ-მდე VIII-VI საუკუნეების სამარხები და სამსხვერპლო მეოდნები. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე, არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა ამ ნაკვეთის სამხრეთ ჭრილში, 2008 წლის არქეოლოგიური სამუშაოების დროს, ჩანდა სამარხის ქვაყრილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სამაროვანი საპროექტო ტერიტორიაზეც ვრცელდება.

ნაკვეთზე დღეს არსებობს შენობა, „არაი თუმოროუ“-ს მაღაზია, რომლის საძირკვლის გამართვისას, სავარაუდოდ არ უნდა დაზიანებულიყო არქეოლოგიური ობიექტები, რომლებიც ადრე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებიდან გამომდინარე, ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის ხეივნის სამანქანო გზატკეცილიდან დაახლოებით 3,5-6 მ-ის სიღრმეზეა განფენილი.

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა, პირველ რიგში, უნდა მოხდეს იქ არსებული „არაი თუმოროუს“-ს მაღაზიის დემონტაჟი და ტერიტორიის განთავისუფლება სამშენებლო ნარჩენებისგან.

არქეოლოგიური ობიექტების დაზიანება/განადგურების პრევენციის მიზნით, არსებული ნეგებობების საძირკვლის დემონტაჟი აუცილებელია განხორციელდეს სპეციალისტი არქეოლოგების ვიზუალური დაკვირვებითა და მეთვალყურეობით, ხოლო ახალი შენობისთვის საძირკვლის გათხრა უნდა ჩატარდეს არქეოლოგთა უშუალო ხელმძღვანელობით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულმა მიწის სამუშაოებმა გამოავლინა არქეოლოგიური ობიექტები, რისი მაღალი ალბათობაც არსებობს, უნდა მოხდეს ამ ობიექტთა სრული არქეოლოგიური კვლევა, გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების ტექსტური, ფოტო და გრაფიკული დოკუმენტირება და ტერიტორიის განთავისუფლება მოძრავი არქეოლოგიური ობიექტებისგან.

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი თანახმაა გაიცეს საპროექტო სამუშაოების ნებართვა, მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებულ იქნება ყველა ზემოჩამოთვლილი პირობა.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ხელმძღვანელი ზურაბ მახარაძე